განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრები:

ხათუნა წერეთელი

დავით კუპატაძე

თამარ ნასყიდაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს N723 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საოფისე საქმის“, „აღმზრდელის“, „საბაჟო საქმის“, „ელექტროობის“ და „მშენებლობის მწარმოებლის“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 26 და 27 აგვისტოსს ქალაქ თბილისში, ხოლო 29 აგვისტოს - ქალაქ საჩხერეში.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება; პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულის განმახორციელებლებთან შეხვედრა და გასაუბრება; შენობის დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება; ბიბლიოთეკის, რეესტრის (evet.emis.ge), საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინტერვიუირება და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შემოწმება.

ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა, რამდენად ხორციელდებოდა დაწესებულების მიერ წინა ვიზიტებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 31 ივლისის N693 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით დაწესებულების მიმართ გაიცა 4 რეკომენდაცია. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ასეთია:

- დაწესებულების მიმართ გაცემულ პირველ რეკომენდაციას წარმოადგენდა ვებ ინტერფეისის დიზაინერის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის B სასწავლო გარემოში გაზრდილიყო კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები. კერძოდ, ოპერატიული მეხსიერების ზომა მინიმუმ 8 გიგაბაიტი გამხდარიყო, ხოლო ვიდეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

ინფორმაციის დამმუშავებელი მოწყობილობა წარმოჩენილიყო არა ინტეგრირებულად, არამედ დამოუკიდებელი მინიმუმ 2 გიგაბაიტიანი ვიდეო ოპერატიული მეხსიერების მქონე ვიდეო ბარათის სახით. გამომდინარე იქიდან, რომ ჩარჩო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია ვებ ინტერფეისის დიზაინერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უქმდება, დაწესებულებამ ამ ეტაპზე არ გაზარდა კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები. მომავალში მსგავსი პროგრამის დამატების სურვილის შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნის შესაბამისი პარამეტრებისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლებით კომპიუტერების აღჭურვას.

- მეორე რეკომენდაციას წარმოადგენდა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის C გარემოს აღჭურვილობის უმეტესობა არა საწარმოში, არამედ სასწავლო ბაზაზე მოთავსებულიყო. 2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმით (N17) ასევე ირკვევა, რომ დაწესებულების განმარტებით გარკვეული აღჭურვილობის ნაწილი შეძენის პროცესში იყო და მომავალშიც გაგრძელდებოდა აღჭურვილობით დაწესებულების/საკუთარი ბაზის უზრუნველყოფა. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სასაქონლო ზედნადებები და დაგვათვალიერებინა შეძენილი აღჭურვილობა (დანართი 2). ასევე, ამ კუთხით გადამოწმდა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ სასწავლო რესურსები მათთვის ხელმისაწვდომია, სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) და არ აქვთ პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ასევე, პროფესიული სტუდენტები მიიჩნევენ, რომ სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი.
- მესამე რეკომენდაციას წარმოადგენდა ინფორმაციის ტექნოლოგიის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებელს სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის ჰქონოდა IT Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსი. დაწესებულებამ დამატებით აიყვანა ამ პროგრამის დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებლად პირი, რომელსაც აქვს Cisco-ს სერტიფიკატი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- მეოთხე რეკომენდაციას წარმოადგენდა პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკული კომპონენტის მქონე მოდულები განხორციელებულიყო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ. ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის N1081 და N1082 ბრძანებების საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი. შესაბამისად, დაწესებულება უფლებამოსილია ამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს მილევად რეჟიმში და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია. დოკუმენტაციის შეფასებითა და დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯი მილევად რეჟიმში ასრულებინებს პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2019 წლის 1 იანვრამდე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლას; ასევე დაწესებულებამ უზრუნველყო პრაქტიკოსი ექთნის საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლება. შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე პირების - ექთნების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

	სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი არ დაფიქსირებულა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტებთან მიმართებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტებთან მიმართებით მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

VII. დაწესებულების მისია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა:
მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობების ხელშეწყობა, ამ მიზნით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სხვადასხვა მიმართულებით სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ კონკურენტულ სასწავლო გარემოში;
ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას;
პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა;
სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განაცხადით, დაწესებულება ითხოვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას:

- საოფისე საქმე;
- აღმზრდელი;
- ელექტროობა;
- მშენებლობის მწარმოებელი;
- საბაჟო საქმე.

2019 წლის 20 ივნისს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პარტნიორთა კრების მიერ დამტკიცებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდება. წესდების მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „კ“ ქვეპუნტით ირკვევა, რომ აკადემიის რექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/მოდულებს. შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, რექტორის მიერ.

რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი უზრუნველყოფს ორგანიზაციული და შინაარსობრივი კომპონენტების კონტროლს, მონაწილეობს პროგრამების ცვლილებების განხორციელებაში და დადებითი დასკვნის შემთხვევაში სრულყოფილ პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფები შექმნილია რექტორის ბრძანებებით: N2/98 – 19.07.2019 (საოფისე საქმე; საბაჟო საქმე; აღმზრდელი); N2/101 – 22.07.2019 (ელექტროობა); N2/108 – 26.07.2019 (მშენებლობის მწარმოებელი).

ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათები, რომლითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები წარედგინა რექტორს დასამტკიცებლად.

წარმოგიდგენთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ცალ-ცალკე:

საოფისე საქმე

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2019 წლის 31 ივლისს რექტორის N2/109 ბრძანებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 04119-პ), მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work. აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „სამდივნო და საოფისე საქმე“, კოდი 0415, აღმწერი - ,,შეისწავლის ადმინისტრაციულ პროცედურებსა და პრაქტიკას, საოფისე ტექნოლოგიებს, საკანცელარიო საქმეს, სტენოგრაფიასა და ბეჭდვის უნარებს. ასევე მოიცავს სპეციალიზირებულ საოფისე/სამდივნო პროგრამებს (ბილინგვური, სამედიცინო, იურიდიული, საბუღალტრო და ა.შ.), თუ მათი მიზანია საოფისე საქმე და არა სპეციალიზაციით მომუშავე თანაშემწის მომზადება.“

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

15 კრედიტის მოცულობით და საოფისე საქმის 15 პროფესიულ მოდულს 44 კრედიტის მოცულობით. საოფისე საქმის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა 89 კრედიტი.

წარმოგიდენთ პროგრამის და მოდულების გაანალიზებისას გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებს:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“ ჩარჩო დოკუმენტის ერთ-ერთ მოდულს წარმოადგენს „ნორმატიული აქტების გამოყენება“, რომლის დამხმარე ჩანაწერების ნაწილში „დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით“ ვხვდებით სწავლის შედეგებთან დაკავშირებით შეუსაბამო ჩანაწერს. მასში მოცემულია სამ სწავლის შედეგთან დაკავშირებით სარეკომენდაციო სასწავლო (A და B) გარემოები, როდესაც სტანდარტული ჩანაწერებით მოდული მოიცავს მხოლოდ ორ სწავლის შედეგს. დაწესებულების მიერ მოდულის დამხმარე ჩანაწერები იგივე ფორმულირებითაა წარმოდგენილი. გამომდინარე იქიდან, რომ მოდულის დამხმარე ჩანაწერებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დაწესებულების მიერ, სასურველია მოდულის განხორციელების მიდგომები მოერგოს მოდულის საჭიროებებს;
- მოდულის „საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება“ დამხმარე ჩანაწერებში სამ ადგილას ჩარჩენილია სიტყვა „რეკომენდაციები“;
- მოდულზე „პრაქტიკული პროექტი - საოფისე საქმე“ დაშვების წინაპირობაა საოფისე საქმის ყველა პროფესიული მოდული. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რადგან მოდულების დაგეგმვისას დაცული არის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული მოდულებზე დაშვების წინაპირობები. თუმცა წინაპირობიან მოდულს დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებული არ აქვს. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განმეორებითი შეფასებისთვის გაეთვალისწინებინა დროის შუალედი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა ვიზიტის პერიოდში გაცემული სამივე რეკომენდაცია და წარმოადგინა პროგრამა ცვლილებებით (დანართი 3; დანართი 4).

აკადემიას თბილისის ფილიალისთვის (ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N28) პრაქტიკის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. თბილისის 112 საჯარო სკოლა - 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ორიენტირი -10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ევროპული განათლების აკადემია - ბი დი სი - 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს ინტელექტ ცენტრი - 10 პროფესიული სტუდენტი;

პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად ჯამში შეუძლიათ - 40 პროფესიული სტუდენტის მიღება. გამოყოფილია ინსტრუქტორები, რომლის პირადი მონაცემები დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებებს.

აკადემიას საჩხერის ფილიალისთვის (ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10) პრაქტიკის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- საჩხერის კულტურის ცენტრი - 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. საჩხერის N 1 საჯარო სკოლა - 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა - 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა - 10 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა - 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა - 5 პროფესიული სტუდენტი;

პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად ჯამში შეუძლიათ - 35 პროფესიული სტუდენტის მიღება. გამოყოფილია ინსტრუქტორები, რომლის პირადი მონაცემები დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა როგორც თბილისში, ასევე საჩხერეში შემდეგი პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება:

- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. თბილისის 112 საჯარო სკოლა;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა.

პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები (დირექტორი; საქმისმწარმოებელი) მზაობას გამოხატავენ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, მიიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტები და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

აღმზრდელი

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 31 ივლისის №2/109 ბრძანებით. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის "აღმზრდელის" საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი - 02117-პ). სპეციალიზაციის კოდი: 030255, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 116 კრედიტს. აქედან, პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს (11 კრედიტის მოცულობით) და 24 სპეციალიზაცის პროფესიულ/დარგობრივ მოდულს (105 კრედიტის მოცულობით). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 18 სასწავლო თვეს. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 23 სასწავლო თვეს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,აღმზრდელის" სასწავლო გეგმაში დაცულია თითოეული მოდულის კრედიტების რაოდენობა და მოდულების წინაპირობები. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტის დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს.

დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ საჩხერეში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს 2019 წლის 11 ივლისს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი (№7/476) საჩხერის ა(ა)იპ ,,გაერთიანებული საბავშვო ბაღი"-თან. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 21 ბაღი და მის დაქვემდებარებაში არსებულ ბაღებში შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტის მიღება პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის ერთობლივი განხორციელება:

- პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

მემორანდუმში ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა და მემორანდუმის მოქმედების ვადა. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა საჩხერის №2 საბავშვო ბაღში ვიზიტი, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. პრაქტიკის ობიექტი მზადაა პროფესიული სტუდენტების მისაღებად, პროფესიული სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია სამუშაო პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

ვიზიტის პერიოდში ინტერვიურება ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან. ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული მასწავლებლები მეტნაკლებად იცნობენ მოდულის განხორციელების და შეფასების სპეციფიკას. დაწესებულების განმარტებით, მომავალში იგეგმება ტრენინგის ჩატარება მოდულების განმახორციელებელი პირებისათვის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების შესახებ.

ელექტროობა

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 2019 წლის 31 ივლისს დამტკიცებულია რექტორის N2/112 ბრძანებით. პროგრამაში მოცემულია კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფეროს შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 საერთო პროფესიული მოდულს ჯამური 14 კრედიტის ოდენობით; 4 საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგად მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით და 6 პროფესიულ მოდულს - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია - ელექტროობაში ჯამური 28 კრედიტის ოდენობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს: ქართულენოვანმა სტუდენტებმა - **52** კრედიტი (სწავლის ხანგრძლივობა **10** სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანმა სტუდენტებმა - **67** კრედიტი (სწავლის ხანგრძლივობა **13** სასწავლო თვე).

პროფესიული სტუდენტის სააუდიტორო პირობებში კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა ასახულია სასწავლო გეგმაში.

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

დაწესებულებას ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გაფორმებული აქვს:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი **სს „ენერგო-პრო ჯორჯია“**-სთან (25.07.2019. N7/559). მემორანდუმის ფარგლებში ენერგო-პრო ჯორჯია გამოხატავს ნებას, პრაქტიკული კომპონენტის გატარების მიზნით, მიიღოს აკადემიის მიერ შერჩევით გაგზავნილი, ელექტროობის მესამე დონის მოდულური პროფესიული პროგრამის სტუდენტები, თითოეულ ჯერზე 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2 წლის განმავლობაში.
- ხელშეკრულებები - **შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“**-სთან (22.07.2019, N7/552) და **შპს „ჯეო ელექტრიკი“-სთან** (26.07.2019, N7/562). ხელშეკრულებების საგანია „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკის კომპონენტის ერთობლივი განხორციელება. გამოყოფილია ინსტრუქტორები, რომლის პირადი მონაცემები დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ერთ მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება. ხელშეკრულებები ძალაშია ხელმოწერიდან 3 წლის განმავლობაში.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოებში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ადამიანური რესურსების მენეჯერმა განაცხადა, რომ სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების, მომავალი სპეციალისტების მომზადებას. ასევე აღინიშნა, რომ წარმოება მზადაა შეასრულოს მემორანდუმით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებები.

მშენებლობის მწარმოებელი

მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 2019 წლის 2 აგვისტოსს დამტკიცებულია რექტორის N2/114 ბრძანებით. პროგრამის განხორციელება იგეგმება დუალური მიდგომით. პროგრამაში მოცემულია კვალიფიკაცია, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფეროს შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მწარმოებელი“ მოიცავს: 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით; 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 5 კრედიტის ოდენობით და კონცენტრაცია - ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის 9 მოდულს ჯამური 48 საათის ოდენობით, რომელიც სრულად ხორციელდება საწარმოში. სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს - **71** კრედიტი (სწავლის ხანგრძლივობა **14** სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა - **86** კრედიტი (სწავლის ხანგრძლივობა **17** სასწავლო თვე).
პროფესიული სტუდენტის საუდიტორო პირობებში კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა ასახულია სასწავლო გეგმაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა იძლევა ინფორმაციას სწავლის შედეგების საწარმოსა და კოლეჯს შორის გადანაწილების შესახებაც, რომლითაც ირკვევა, რომ სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი გატანილია საწარმოში. სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლების 2-11 კვირის ჩათვლით სტუდენტი იმყოფება კოლეჯში. სწავლების მე-12 კვირიდან სტუდენტი იმყოფება როგორც კოლეჯში, ისე საწარმოში. კოლეჯში სტუდენტი იმყოფება კვირაში 1-2 დღეს დატვირთვის შესაბამისად. კოლეჯსა და საწარმოში სტუდენტი იმყოფება კვირაში არაუმეტეს 36 საათისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

დაწესებულებას მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალურად განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

1. **შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“**-სთან (22.07.2019, N7/555);
2. **შპს „ოლ-პი ჯგუფი“**-სთან (24.07.2019, N7/557);
3. **შპს „PLANETperfecto“**-სთან;
4. **შპს „ანაგი“-სთან** (25.07.2019, N7/560).

ოთხივე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ საწარმოო გარემოში. ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია პრაქტიკაზე თითოეულ მიღებაზე სტუდენტების რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად: შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“ და შპს „ანაგი“ უზრუნველყოფს არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამის იმ სწავლის შედეგების დადასტურების უზრუნველსაყოფად, რომელთა მიღწევაც წარმოადგენს მათი პასუხისმგებლობის სფეროს; შპს „ოლ-პი ჯგუფი“ და შპს „PLANETperfecto“ უზრუნველყოფს არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

მიღებას. საწარმოებთან შპს „იუნიქს ქონსთრაქშენ კომპანი“-სთან, შპს „ოლ-პი ჯგუფი“-სთან, შპს „PLANETperfecto“-სთან ხელშეკრულებები ძალაშია ხელმოწერიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო, შპს „ანაგი“-სთან - 2 წლის განმავლობაში.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირება.

შპს „ანაგი“-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ კომპანიის სურვილია ჩაერთოს დუალურ სწავლებაში. საწარმოს აქვს რამდენიმე ობიექტი ქალაქ თბილისში, სადაც მოხდება პროფესიული სტუდენტების გადანაწილება. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტისათვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ მშენებლობის პროცესში ჩართვა. **იქვე აღინიშნა, რომ პროგრამის ავტორიზაციის რეჟიმით დამტკიცების შემთხვევაში იგეგმება კონსტრუქტორებისათვის ტრენინგების ჩატარება, რათა მათ შეძლონ მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების სწავლება და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება.**

საბაჟო საქმე

შპს - ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის უფლებამოსილი პირის - რექტორის 2019 წლის 31.07 N2/109 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (სარეგისტრაციო 04116-პ) საფუძველზე შემუშავებული საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებითურთ. ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 19.07.2019 წლის N2/98 ბრძანებით დაწესებულებაში პროგრამის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პროგრამის განხორციელებისთვის გამიზნული მოდულების ექვსივე განმახორციელებელი.

სწავლის ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესული სტუდენტებისთვის შეადგენს 17 სასწავლო თვეს, ხოლო პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია 93 კრედიტით. აქედან 11 კრედიტი განსაზღვრულია 3 ზოგადი მოდულის ასათვისებლად, 82 კრედიტი დათმობილი აქვს 16 პროფესიული მოდულის ათვისებას. ასევე განსაზღვრულია სწავლის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 123 კრედიტის მოცულობით და 23 სასწავლო თვის ხანგრძლივობით. პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგები და მათი მიღწევის დადასტურების საფუძველზე კრედიტების მინიჭების მექანიზმები. კერძოდ, კვალიფიკაცია პროფესიულ სტუდენტს ენიჭება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

შემთხვევაში, რომელსაც ადასტურებს რექტორის მიერ შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სპეციალური კომისია პროგრამის დასრულების შემდეგ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ასეთ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მოდულებზე მათი დაშვება მოხდება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საბაჟო საქმის სასწავლო გეგმა სრულად ასახავს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების კვირეულ დატვირთვას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჭრილის მიმართებაში. გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობების მქონე მოდულების განხორციელების მექანიზმები და განმეორებითი შეფასებისთვის დამატებით საჭირო დროის შუალედი. კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას თან ერთვის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდულების სწავლების სასწავლო გეგმა.

საaწავლო გეგმის მიხედვით პრაქტიკული მოდულების განხორციელება გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტებზე, რეალურ სამუშაო გარემოში. ამისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებები. კერძოდ:

1. მემორანდუმი N7/590 08.08.2019 სსიპ - შემოსავლების სამსახური. მემორანდუმის თანახმად მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისთვის და აღნიშნული მომსახურება გაწიოს 2020 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

2. ხელშეკრულება N7/459 04.07.2019 შპს „გრინვეი ლოჯისტიკ“. ხელშეკრულების მიხედვით მხარეები ერთობლივად განახორციელებენ შემდეგ პრაქტიკის კომპონენტებს/მოდულებს:

- გაცნობითი პრაქტიკა - საბაჟო საქმე;
- პრაქტიკული პროექტი - საბაჟო საქმე.

ამ შემთხვევაშიც მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას ერთდროულად მიიღოს და გაუწიოს მომსახურება დაწესებულების 15 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულება ძალაშია პროგრამის ამოქმედებიდან 6 წლის განმავლობაში

3. ხელშეკრულება N7/457 01.07.2019 შპს ჯი თი ექსპრეს სერვისი. ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგი მოდულების ერთობლივ განხორციელებას:
   - გაცნობითი პრაქტიკა - საბაჟო საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- საწარმოო პრაქტიკა - საბაჟო საქმე;
- პრაქტიკული პროექტი - საბაჟო საქმე.

აღნიშნული ხელშეკრულება უზრუნველყოფს დამკვეთის მომსახურებას 6 წლის ვადით და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ერთდროულად 15 სტუდენტზე.

ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსრულებელი მხარე უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას და უკუკავშირს დამკვეთთან, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუირება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განმახორციელებლებთან. კერძოდ უცხოური ენის მოდულის, ბიზნეს ინგლისურის, პრაქტიკული პროექტის, საწარმოო და გაცნობითი პრაქტიკის მოდულთა განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან განხორციელდა გასაუბრება. უცხოური ენის მოდულის განმახორციელებელმა საუბარში აღნიშნა, რომ იცნობს პროგრამის მოთხოვნებს და ასევე აქტიურად თანამშრომლობს დარგის სპეციალისტთან - პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც უზრუნველყოფს დარგის სწავლებისთვის აუცილებელი სპეციალური ტერმინოლოგიის და სხვა სასწავლო რესურსის მიწოდებას პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის დასაქმებული საბაჟო სფეროში. ამდენად იცნობს კარგად დარგის სპეციფიკას და ფიქრობს, რომ მაქსიმალურად მოახმარს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას კვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით, დაწესებულებას აქვს „Asycuda World" პროგრამის ელექტრონული ვერსია, რომელიც ჩატვირთულია სწავლების პროცესში გამოსაყენებელ კომპიუტერებში. შემოსავლების სამსახურის მიერ გაწერილი აქვთ პროგრამაზე წვდომისთვის დასაშვები იუზერები და პაროლები, საიდანაც თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს სიმულაციურ გარემოში მუშაობის. კითხვაზე, თუ როგორი იქნება სტუდენტის ჩართულობა პრაქტიკულად განსახორციელებელ კომპონენტებში, განმახორციელებელმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი აქვს საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე უშუალოდ მისი მეთვალყურეობით სტუდენტებს პრაქტიკულად განახორციელებინოს თეორიული კომპონენტის სწავლების დროს სიმულაციურ გარემოში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები. კერძოდ დოკუმენტაციის დამუშავება, დეკლარაციების გადამოწმება, მომზადება ასატვირთად, ატვირთვა-დარეგისტრირება. რაც შეეხება სტუდენტების ჩართვას საბაჟო მომსახურების რეალურ სივრცეში, პრაქტიკის ობიექტთან შეთანხმების საფუძველზე იგეგმება მათ დაქვემდებარებაში მყოფ გამშვებ პუნქტებსა და გეზებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

სტუდენტების უშუალო მონაწილეობა საწარმოო პრაქტიკის პერიოდში, რაც კიდევ ერთხელ საშუალებას მისცემს სტუდენტებს რეალურ სივრცეში თავად დააკვირდნენ და ჩაერთვნენ სამუშაო პროცესებში.

ვიზიტის პერიოდში გავესაუბრეთ საბაჟო დეპარტამენტის მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, რომელმაც დაწესებულების სახელით გამოხატა სრული მზადყოფნა მიიღოს და შესაბამისი მომსახურება გაწიოს საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად. აღნიშნულ სამსახურს აქვს გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების. მათთან პრაქტიკაზე მისულ სტუდენტებს ანაწილებენ სხვადასხვა გეზებსა და გამშვებ პუნქტებში, სადაც სტუდენტები აკვირდებიან და შემდგომ თავადაც ახორციელებენ შესაბამის ოპერაციებს შემოსავლების სამსახურის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირის უშუალო მეთვალყურეობით. ინტერვიუს დროს წარმომადგენელმა მხარემ ისაუბრა არსებულ თანამშრომლობაზე აკადემიასა და მათ წარმომადგენლებთან და გამოთქვა სრული მზაობა პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, საწარმოო პრაქტიკის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად, უფრო დეტალურად გაეცნოს დამკვეთის მოთხოვნებს - პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს, ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მოვალეობების სრულყოფილად წარმართვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წესდებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- რექტორის ბრძანებებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიურებით განმახორციელებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) განთავსებული აქვს ვებ გვერდზე www.bta.edu.ge . დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია წლების მიხედვით კატალოგი. მათ შორის განთავსებულია 2019-2020 წლების განახლებული რედაქციით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს კოლეჯს. ასევე, ანონსის სახით წარმოდგენილია ინფორმაცია დასამატებელი პროგრამების შესახებ.
შეფასებისას გამოიკვეთა, რომ კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.
კატალოგი დამატებით ასევე მოიცავს კოლეჯის მისიას, საკონტაქტო ინფორმაციას, აკადემიის გარემოს სურათებს, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალსა და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგი 2019-2020 წლების განახლებული რედაქციით;
- ვებ გვერდით www.bta.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა.
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შდეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს, კერძოდ:

- ელექტროობა - 07313-პ;
- მშენებლობის წარმოება – 07320-პ;
- საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება - 04119-პ,
- საბაჟო საქმე - 04116-პ;
- აღმზრდელი - 02117-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აკადემიის რექტორის 2019 წლის 16 აგვისტოს N2/127 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე. რექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტული საფეხურის/დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ბრძანებით განისაზღვრება: პროგრამის ზუსტი დასახელება და საფეხური/დონე; ადგილების რაოდენობა, ჩარიცხვის პირობები - წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები; სწავლების საფასური და სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი. პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების შესაბამისად აკადემიას შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში შეუძლია ჩაერთოს პროფესიულ ტესტირებაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამ(ები)ს ფარგლებში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია რექტორის ბრძანება (N2/90 – 08.07.2019), სადაც განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ის საკითხები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს ბრძანება. ასევე გაწერილია რეგისტრანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალი:

- პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- ფოტო 1 ც;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის ასლი);
- დაბადების მოწმობის ასლი (არასრულწლოვანის შემთვევაში);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი / ან მისი ასლი (იმ შემთვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტი არაა გაცემული - ცნობა სკოლიდან).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან რექტორის მიერ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, სახელშეკრულებო უფლებები და ვალდებულებები (პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სწავლისა და სწავლების უსაფრთხო პირობების შექმნა, ისარგებლოს აკადემიის ბიბლიოთეკით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მიიიღოს ხარისხიანი განათლება და სხვა), ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, განხორციელებულია სრულწლოვან და არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება, ასევე, პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები.

დაწესებულებაში განხორციელებულია გარე მობილობა. გადმოსვლის მსურველთათვის მობილობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. აკადემიაში გადმოსვლის/შიდა მობილობის მსურველმა დაწესებულებას უნდა მიმართოს წერილობითი განცხადებით, რასაც თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი საქმე;

ბ) ცობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ ან სტუდენტის ბარათი დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში).

მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღებ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მოწმდება პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების/სწავლის შედეგების შესაბამისობა დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ მზადდება დასკვნა მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რაც მოხსენებითი ბარათის სახით წარედგინება რექტორს. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორი მობილობის მსურველი პირის პირადი საქმე, რომლებშიც დევს ცნობები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული კრედიტების შესახებ. წარმოდგენილია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი, სადაც გაწერილია როგორც აღიარებული მოდულების ჩამონათვალი კრედიტებითურთ, ასევე მოდულების ჩამონათვალი ასათვისებელ კრედიტთა ჯამის მითითებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების და პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით შედგენილი ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულების სასწავლო გეგმა. შესაბამისად, მობილობა განხორციელებულია დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ ასევე შემუშავებულია შეფასების ინსტრუქცია, რომელიც რექტორის N2/135 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცებულია 2019 წლის 23 აგვისტოს. მასში განსაზღვრულია შეფასების წესი, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შედეგის გასაჩივრების მექანიზმები, მოთხოვნები მტკიცებულებებისადმი, შეფასების პროცესთან დაკავშირებული წესები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- შეფასების ინსტრუქციით;
- მოხსენებითი ბარათით;
- ინდივიდუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითაა და მოდულების სასწავლო გეგმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას რექტორის ბრძანებით (N2/127 – 16.08.2019) ცვლილებებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლისა და გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

აღნიშნული წესით ასევე ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების/შეცვლის შემთვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
დაწესებულებას პროგრამის შეცვლის პრაქტიკა ჰქონდა. შესაბამისად, შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია რომ შეფასებულიყო, თუ როგორ განხორციელდა პროგრამის შეცვლის პროცედურა დაწესებულების მიერ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 დეკემბრის N1081 და N1082 ბრძანებების საფუძველზე 2019 წლის 1 იანვრიდან პრაქტიკოსი ექთნის ჩარჩო დოკუმენტი გაუქმდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ირკვევა, რომ უნდა განხორციელებულიყო პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლება. პრაქტიკოს ექთანზე 2019 წლის 01 იანვრამდე მიღებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა უნდა დაამთავრონ ის პროგრამა, რომლებზეც ჩაირიცხნენ იმ მიზეზით, რომ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამა და საექთნოს განათლების სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

(ქალაქი, წელი)

შედეგები, კრედიტები და სხვა შინაარსობრივი მხარე განსხვავებულია ერთმანეთისგან. ამასთან წარმოდგენილია პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დარჩენას და ამას ადასტურებდნენ ხელმოწერით. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სამუშაო ჯგუფის შექმნა პროგრამის მოდიფიცირების შეცვლის/განახლების მიზნით, პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებების გაფორმება და მასწავლებლების შერჩევა.

შემდგომ ირკვევა, რომ რექტორის ბრძანებით (N1/04 – 19.02.2019) განისაზღვრა საექთნო განათლების პროგრამაზე მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე, გამოიცა რექტორის ბრძანება (N1/06 – 20.03.2019) განმახორციელებლებთან მომსახურების ხელშეკრულებების გაფორმებისა და პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ. შემდგომ რექტორის ბრძანებით (N2/49 – 30.04.2019) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ წარედგინა რექტორს, რომელმაც საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა დაამტკიცა ბრძანებით (N2/54 – 13.05.2019).

მიმდინარე წლის 24 მაისს, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამაში - პრაქტიკოსი ექთანი - ცვლილებების განხორციელების თაობაზე. კერძოდ ამ პროგრამის საექთნო განათლების პროგრამით შეცვლის თაობაზე, რაც შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ცვლილებით იყო განპირობებული. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N129 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის N168 გადაწყვეტილებაში და დაწესებულებას მიენიჭა საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება.

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შემდეგი ხელშეკრულება/მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- მრავალმხრივი ხელშეკრულება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებს შორის;
- სსიპ კოლეჯი „სპექტრი“;
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- მოხსენებითი ბარათებით;
- განცხადებით;
- რექტორის ბრძანებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებითა და მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ადმინისტრაციის დებულებით ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შემოიფარგლება 2 საშტატო ერთეულით: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი და სპეციალისტი. სამსახურის ფუნქციებია: აკადემიის სასწავლო საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მისი სრულყოფის მიზნით; სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე; მონაწილეობა კითხვარების შემუშავებაში და კითხვარის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება აკადემიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით და სხვა;
რექტორის 2018 წლის 12 ოქტომბრის N2/102 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მექანიზმები ეფუძნება დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

განხორციელების შეფასების სისტემის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად:

ა) პროგრამის მიმდინარეობისას;

ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების განხორციელების შეფასების მიზნით რესპოდენტებს ურიგდებათ კითხვარები მოდულის დასრულების შემდეგ. დაწესებულებაში ხარისხის შეფასების მიზით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი;
- პროფესიული მასწავლებლის კითხვარი;
- ადმინისტრაციის კითხვარი;
- შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარი;
- კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა;
- საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი;
- დამსაქმებელთა კითხვარი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ.

გამოკითხვები ხორციელდება სხვადასხვა პერიოდულობით სასწავლო წლის განმავლობაში. გამოკითხვის შედეგების ანალიზი კეთდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება და ახალი რედაქციით დამტკიცება.

რექტორის 2018 წლის 12 ოქტომბრის N2/102 ბრძანებით დამტკიცებულია ახალი შემადგენლობით შიდა მონიტორინგის ჯგუფიც, სადაც შესულია პროგრამის ხელმძღვანელები და მოდულის განმახორციელებელი პირები.

შემუშავებულია დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე 2018-2019 სასწავლო წლისთვის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. მასში წარმოდგენილია შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული აქტივობები. წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი, ადმინისტრაციის გამოკითხვის ანალიზი, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება/საერთო ანალიზი, კურსდამთავრებულთა კითხვარების ანალიზი, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებების აქტები/საერთო ანალიზი. გამოკითხვები ხორციელდება ელექტრონულად. კითხვარებიდან მიღებული მონაცემები წარმოდგენილია გრაფიკულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- ადმინისტრაციის დებულებით;
- დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშით;
- კითხვარების ანალიზით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემია საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში ორ მისამართზე არსებულ შენობა-ნაგებობებს. კერძოდ, ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში (წერონისის ქ. N208) არსებულ 1059.82 კვ.მ შენობა-ნაგებობას და ქ. თბილისში, (ქუჩა ჩოდრიშვილი, N 2; ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 26; ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28.) არსებულ 591.57 კვ.მ შენობა-ნაგებობას.
დაწესებულებას ქალაქ საჩხერეში იჯარის ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს ფართი. კერძოდ, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს თავის საკუთრებაში არსებულ შენობას, მდებარე ქალაქი საჩხერე, ივანე გომართელის ქ. N10. იჯარით გადაცემული შენობის საერთო ფართია 290 კვ.მ (მათ შორის I სართული 145 კვ.მ II სართული 145 კვ.მ.). მეიჯარე უფლებამოსილია ისარგებლოს შენობა-ნაგებობაში არსებული კომუნალური მომსახურებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

როგორიცაა ელექტროენერგია, დასუფთავება, წყალმომარაგება, ინტერნეტი, ტელეფონი და ბუნებრივი აირი დამატებითი გადასახადის გადახდის სანაცვლოდ. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედია ხუთი წლის ვადით. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერი.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	**მისამართი**	**კვ.მ.**
1	ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (წერონისის ქ. N208)	1059.82 კვ.მ
2	ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩოდრიშვილი , N 2; ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 26; ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28.	591.57 კვ.მ
3	ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10	290 კვ.მ

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- საიჯარო ხელშეკრულებით;
- შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის განკუთვნილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

კოლეჯის სამივე მისამართზე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა რექტორის ბრძანებით დამტკიცებული (N2/122 – 09.08.2019) ინვენტარიზაციის დოკუმენტი მისამართების მიხედვით.

- **საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება კოლეჯის ორ მისამართზე (ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28 და ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10). ორივე მისამართზე პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართები:
  - ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N28 - პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია A სასწავლო გარემოში 5 ოთხადგილიანი მაგიდა სკამებით, 1 კომპიუტერი, 1 მონიტორი (დემონსტრირების ციფრული საშუალება), დაფა. აუდიტორიაში ასევე განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა (საერთო ფართი 26,44 კვ.მ). აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 40-ით.
  - ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10 - პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია AB სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისთვის 15 კომპიუტერი მაგიდა და სკამით, 1 კომპიუტერი, 1 მონიტორი (დემონსტრირების ციფრული საშუალება), დაფა. აუდიტორიაში ასევე განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა (საერთო ფართი 29.11 კვ.მ). აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 30-ით.
- **აღმზრდელის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ საჩხერეში, ივანე გომართელის N10-ში. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი:
  - პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია A სასწავლო გარემოში 6 სამადგილიანი მაგიდა სკამებით, 1 კომპიუტერი, 1 მონიტორი (დემონსტრირების ციფრული საშუალება), კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი), აუდიო აღჭურვილობა, დაფა. აუდიტორიაში ასევე განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა (საერთო ფართი 20.72 კვ.მ). აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 30-ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

- **ელექტროობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი ქალაქ თბილისში:
  - დაწესებულებას წერონისის ქ. N208-ში, მე-4 სართულზე, აუდიტორია N20-ში მოწყობილი აქვს „ელექტროობის“ პროგრამის მოდულების განხორციელებისათვის **C ტიპის გარემო**, რომელიც გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებულია: 7 ორადგილიანი მაგიდა, 15 სკამი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, დაფა, ეკრანი, ელექტრო ქსელის მონტაჟის სადემონსტრაციო დაფა. აუდიტორიაში ასევე განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა (საერთო ფართი 44,64 კვ.მ);
  - ცოტნე დადიანის N28-ში, მესამე სართულზე აუდიტორია 14-ში (ელექტროობის პროგრამის განხორციელებისათვის A ტიპის გარემო) განთავსებულია 16 ერთადგილიანი მერხი, 17 სკამი, 1 პედაგოგის მაგიდა სკამით, კომპიუტერი, დაფა და სადემონსტრაციო საშუალება (მონიტორი), საერთო ფართით 26,16 კვ.მ;
  - აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 30-ით.
- **მშენებლობის მწარმოებლის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი ქალაქ თბილისში:
  - ცოტნე დადიანის N28-ში, მე-8 აუდიტორიაში (B ტიპის გარემო) განთავსებულია 15 კომპიუტერი მაგიდით, 15 სკამი, 1 პედაგოგისათვის გამოყოფილი მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა და სადემონსტრაციო საშუალება (მონიტორი), საერთო ფართით 26,29 კვ.მ);
  - ამავე სასწავლო კორპუსში - მე-15 აუდიტორიაში (A ტიპის გარემო) განთავსებულია 7 სამადგილიანი მაგიდა, 21 სკამი, 1 პედაგოგისათვის გამოყოფილი მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა და სადემონსტრაციო საშუალება (მონიტორი), საერთო ფართით 28,35 კვ.მ;
  - აღჭურვილობის გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს 30-ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- **საბაჟო საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ქალაქ თბილისში, **ცოტნე დადიანის N28-ში** სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი:
  - თეორიული მეცადინეობისთვის A გარემოში განთავსებულია 7 ერთეული 3 ადგილიანი მერხი სტუდენტებისთვის შესაბამისი სკამების რაოდენობით და მასწავლებლის სამუშაო მაგიდა სკამით, კომპიუტერი სრული კომპლექტით მასწავლებლისთვის, მონიტორით და დაფით. სივრცე მოწყობილია „სასკოლო ტიპის“ განლაგებით.
  - დაწესებულებას მოწყობილი აქვს ორი B ტიპის გარემო. პროფესიული სტუდენტებისთვის ორივე B გარემოში სტუდენტებისთვის განკუთვნილია 35 ერთეული პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი, საიდანაც 20 ერთეული გამიზნულია პროფესიული მოდულების სწავლებისთვის და მათში ჩაწერილია ელექტრონული პროგრამა -„Asycuda World”. შემოსავლების სამსახურის მიერ, ასევე გაწერილია სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის პროგრამაზე წვდომის იუზერები და პაროლები. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით საბაჟო საქმის პროფესიული სტუდენტები ვირტუალურ სივრცეში შეისწავლიან ყველა იმ პროცესებს და პროცედურებს, რასაც ითვალისწინებს პროფესიული მოდულების თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტები. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისას დასტურდება, რომ სააუდიტორიო სწავლების გარემოებში წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ციფრული და ტექნიკური სადემონსტრაციო საშუალებები, ინვენტარი, იმიტირებული აღჭურვილობა, მასალა და ნედლეული შესაბამისობაშია საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტინგენტის (40 პროფესიული სტუდენტი, ანუ 20-20) ფარგლებში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულებას ფიზიკურ პირთან გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება (N7/112 – 01.10.2018), რომლის საგანსაც წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებით ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების ტრანსპორტირება ცოტნე დადიანის N28-დან წერონისის N208-მდე და პირიქით. ხელშეკრულება მოქმედებს ორი წლის ვადით. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაწესებულების ტრანსპორტით გადაადგილდნენ კოლეჯის ორივე მისამართზე ქალაქ თბილისში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის დოკუმენტით;
- კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- მომსახურების ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. შენობები უზრუნველყოფილია და მიეწოდება უწყვეტი ელექტროენერგია; დაწესებულება გაზიფიცირებულია; შენობების მთელ სივრცეში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისის და ქ. საჩხერის მისამართებზე გადახდის ქვითრები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სასწავლო კაბინეტები ყველა მისამართზე უზრუნველყოფილია განათებით. შენობებში არის სველი წერტილები, სანიტარული კვანძები. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის საშუალებებით. სასწავლო კორპუსების სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

- გადახდის ქვითრებით (სს „თელასი“; შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი; შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი);
- გადახდის ქვითრით (შპს „საჩხერის წყალკანალი“; სს „საჩხერე გაზი“);
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აკადემიის რექტორის 2018 წლის 08 ივნისის N2/48 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს აკადემიის რექტორი და თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე. ბიბლიოთეკარი წარმართავს ბიბლიოთეკის საერთო საქმიანობას, უზრუნველყოფს წიგნადი და სხვა ფონდების გამდიდრებას და მათ დაცვას, მოვლა-პატრონობას და სხვა.
ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ვებგვერდზე ასევე ინტეგრირებულია ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი (OpenBiblio). მისი საშუალებით ხდება მთელი საბიბლიოთეკო პროცესის ავტომატიზაცია: ლიტერატურის ნებისმიერი სახეობის (წიგნები, დისკები, პერიოდული გამოცემები თუ სხვა) ბიბლიოგრაფიული დამუშავება – ელექტრონულ კატალოგში შეტანა, მკითხველთა აღრიცხვა, მკითხველებზე ლიტერატურის გაცემის აღრიცხვა და სხვა.
ბიბლიოთეკაში იწარმოება ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო ჟურნალი. მომხმარებელზე იქმნება მკითხველის ფორმულარი, სადაც შეიტანება ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საცხოვრებელი მისამართი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

დაწესებულების მიერ დასამატებელ ორივე მისამართზე (ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N28 და ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10) ბიბლიოთეკაში განთავსებულია ბიბლიოთეკარისთვის -1 და პროფესიული სტუდენტებისთვის - 1 კომპიუტერი, ასევე 1 კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი). სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება.
დაწესებულების მიერ დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ორივე მისამართზე, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული. შემოწმდა ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საბიბილიოთეკო კატალოგით;
- ინტერვიუირებით ბიბლიოთეკართან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს მუდმივი ინტერნეტი, შიდა ქსელი და უკაბელო შიდა ქსელი (WiFi). ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით (კომპიუტერებით, პრინტერებით). კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი www.bta.edu.ge .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

რექტორის ბრძანებით (N2/48 – 08.06.2018) დამტკიცებული კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტის სარგებლობის წესით ირკვევა, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ისინი გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიები დანიშნულებისამებრ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. დაწესებულების სამივე მისამართზე ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტები.
დაწესებულება ფლობს პერსონალისთვის 15, პროფესიული სტუდენტებისთვის 197 კომპიუტერს და 31 პრინტერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტის სარგებლობის წესით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტენეტის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებით;
- გადახდის ქვითრებით (შპს ახალი ქსელები; შპს „პროსერვ.ჯი"; შპს სქაიტელი).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

საქმისწარმოების ერთიანი წესი (N2/100 – 19.07.2019) განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. კანცელარია კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზაციას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, ინფორმაციის გაცემას, მეთოდურ და ტექნიკურ მომსახურებას, დოკუმენტების დამუშავებას, არქივის წარმოებას, რეესტრის წარმოებას, დოკუმენტების გადაცემას ხელმძღვანელობისა და შემსრულებლისათვის, დოკუმენტების სხვა ორგანიზაციებში გაგზავნას, საქმისწარმოებით კალენდარული წლის შესაბამისად დოკუმენტების საქმეებად ფორმირებას და საქმისწარმოების ერთიანი წესით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას. დაწესებულებაში დოკუმენტების აღრიცხვაზე, მოძრაობასა და შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი. დაწესებულებას აქვს ორ მისამართზე განყოფილებები. ამ მისამართებზე აკადემიას ჰყავს საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების სპეციალისტი.

დაწესებულებაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპოდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნა; ბრძანებების რეგისტრაცია და აღრიცხვა; ხელშეკრულებების მომზადება და აღრიცხვა; სხდომის ოქმების გაფორმება; პირადი საქმეების წარმოება (პროფესიული სტუდენტი, მასწავლებელი) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების - დიპლომების/პროფესიული დიპლომების აღრიცხვა, სერტიფიკატების აღრიცხვა და სხვა.

დაწესებულებაში შემოსული და გასული კორესპოდენციის, შიდა დოკუმენტების, რექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებების, ოქმების აღრიცხვა წარმოებს აგრეთვე ელექტრონული ფორმით. საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი ელექტრონულ საქმისწარმოებაში დოკუმეტებს ტვირთავს 5 კალენდარულ დღის ვადაში. ფილიალები ჯერ არ არიან ჩართულნი საქმისწარმოების ელექტრონულ ფორმაში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, უახლოეს პერიოდში ეტაპობრივად იგეგმება მათი ჩართვა. ფილიალებში საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ადამიანური რესურსების სპეციალისტები ვალდებულნი არიან ფილიალში შესული კორესპოდენცია კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გააგზავნონ ელექტრონულად (დასკანირებული), ან უზრუნველყონ შესაბამისი პირისთვის დოკუმენტაციის მატერიალური სახით ჩაბარება დაწესებულების ძირითად მისამართზე.

დაწესებულებაში მიმდინარეობს შემდეგი ჟურნალების წარმოება:

- გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;
- შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

- საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სასწავლო ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სხვა სახის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- სხდომის ოქმების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- შიდა დოკუმენტების ბრუნვის ჟურნალი;
- დიპლომებისა და დუბლიკატების რეგისტრაციის ჟურნალი.

დაწესებულების მიერ წარმოებული ყველა ჟურნალი გაფორმებულია წესების სრული დაცვით (ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმულია უფლებამოსილი პირის მიერ).

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს, რომელიც ხელმძღვანელობს რეესტრის წარმოების საერთო წესით. რეესტრში სრულყოფილადაა ასახული ინფორმაცია სტუდენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების შესახებ. რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 82 პროფესიული სტუდენტი, ხოლო კოლეჯს ჰყავს 103 აქტიური სტატუსის მქონე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში დაცულია სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. შენობის თითოეულ სართულზე წარმოდგენილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესით (დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით N2/48 – 08.06.2018) ირკვევა, რომ აკადემიაში შექმნილია სახანძრო უსაფრთხოების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია პირველყოვლისა დაიცვან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და შემდგომ იზრუნონ საკუთარი თავის და აკადემიის ქონების დაცვაზე. ცეცხლმაქრები დამუხტული და ვადიანია.
აკადემიის სამივე შენობის თითოეულ სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. რექტორის ბრძანებით 2019 წლის 31 ივლისს დასამატებელი ორივე ფართისთვის დამტკიცებულია საევაკუაციო გეგმები.
რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციის დებულებით ირკვევა, რომ სამედიცინო დამხარებას უზრუნველყოფს სამედიცინო სამსახური. სამედიცინო სამსახური დაწესებულების ნებისმიერ პირს უწევს პირველად გადაუდებელ დამხარებას და უზრუნველყოფს „სასწრაფო მომსახურების“ გამოძახებას. აკადემიის სამივე მისამართზე არის სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექთანი. ექთნების კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეებში წარმოდგენილი დიპლომებით.
დაწესებულებაში შექმნილია დაცვის სამსახური, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციის დებულების შესაბამისად. ამასთან გაწერილი და რექტორის ბრძანებით (N2/48 – 08.06.2018) დამტკიცებულია წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაცვის სამსახურის მოვალეობაა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას დაწესებულების ქონება და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში წარმართვა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა. აკადემიის ფართებზე ფუნქციონირებს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციის დებულებით;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით;
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- ხანძრის საწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევაკუაციის წესით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პირადი საქმეებით;
- ინტერვიუირებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია პანდუსით. შენობებში მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული კვანძები. სსსმ პროფესიულ სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. რექტორის 2019 წლის 19 ივლისის N2/100 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციის დებულებით ირკვევა, რომ დაცვის სამსახურის თანამშრომელს ევალება სსსმ და შშმ პირებისთვის დახმარების გაწევა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციის დებულებით;
- ინტერვიუირებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მფლობელობაშია დომენი bta.edu.ge. www.registration.ge - ზე დომენის გადამოწმებით ირკვევა, რომ დომენის მოქმედების ვადა 2020 წლის 31 ივლისამდეა.
შესაბამისად, კოლეჯს აქვს ვებგვერდი http://bta.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტთან დაკავშირებული ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, სამართლებრივი აქტები, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები).
ვებგვერდზე ასევე განთავსებულია სიახლეები, ფოტო და ვიდეო გალერია, საქმიანი პარტნიორების ჩამონათვალი და სხვა.
ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. ბოლო სიახლე განთავსებულია მიმდინარე წლის 23 აგვისტოსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდით;
- www.registration.ge
- გაფორმებული ხელშეკრულებით;
- გადახდის ქვითრებით (შპს „პროსერვ.ჯი“; შპს პროსერვისი).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას რექტორის 2019 წლის 19 ივლისის N2/100 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, დაწესებულების 2018-2015 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა და დაწესებულების 2019-20 წწ სამოქმედო გეგმა.
დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ეყრდნობა swot ანალიზს და მისგან გამომდინარეობს აკადემიის პრიორიტეტული 6 სტრატეგიული მიზანი. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების პერიოდი/წლები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. რექტორის ბრძანებით (N2/100 – 19.07.2019) ცვლილებებით დამტკიცებულია 2019-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. სტრატეგიულ მიზანში „ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ გაიწერა განსახორციელებელ ამოცანად „ფართის დამატება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა“. დაწესებულების მიერ შემუშავებულ 2019-20 წწ. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. მასში 2019 წლის 23 აგვისტოსს რექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

ბრძანებით N2/135 შევიდა ცვლილება, გამომდინარე იქიდან, რომ გაპარული იყო რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი იყო აკადემიის პრიორიტეტული 5 სტრატეგიული მიზანი, როდესაც 6 სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე გაწერილი იყო ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების პერიოდი/თვე, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. ასევე, სამოქმედო გეგმის რამდენიმე განსახორციელებელი აქტივობა არ მოიცავდა ინფორმაციას შესრულების ინდიკატორების შესახებ. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში შევიდა ცვლილება, გასწორდა ტექნიკური ხარვეზები და გაიწერა შესრულების ინდიკატორები.

დაწესებულებას ვებ გვერდზე ასევე განთავსებული აქვს 2018-19 წწ სამოქმედო გეგმის ანგარიში, სადაც მოცემულია ინფორმაცია თითოეული განსახორციელებელი აქტივობის შესრულების, ან არ შესრულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით, დაწესებულების 2018-2015 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- დაწესებულების 2019-20 წწ სამოქმედო გეგმა;
- 2018-19 წწ სამოქმედო გეგმის ანგარიშით;
- ვებ გვერდით www.bta.edu.ge

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რექტორის 2019 წლის 21 იანვრის N2/01 ბრძანებით ცვილებებით დამტკიცებულია აკადემიის შინაგანაწესი. პერსონალს სამსახურში იღებს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი. აკადემიაში ადმინისტრაციის თანამშრომლები სამსახურში მიიღებიან წერილობითი განცხადების საფუძველზე. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი - რექტორის ბრძანება, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

შრომითი ხელშეკრულების დადებისას აკადემია (დამსაქმებელი) ვალდებულია კანდიდატს მოსთხოვოს:

- წერილობითი განცხადება (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ერთი ფოტოსურათი 3x4-ზე;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მოთხოვნის შესაბამისად);
- სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოთხოვნის შესაბამისად).

რექტორის ბრძანებით (N2/100 – 19.07.2019) დამტკიცებულია საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასამატებელი ფართებისთვის (ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N28 და ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10).

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემას (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს, რომლითაც ირკვევა, რომ პერსონალის რაოდენობა შეადგენს 24-ს. ხუთი პერსონალით დაკომპლექტებულია ქალაქ საჩხერეს ფილიალი, ხოლო 7-ით თბილისის მეორე ფილიალი. პირადი საქმეების გადამოწმებით ირკვევა, რომ ფილიალებში პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით;
- საშტატო განრიგითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
რექტორის 2019 წლის 21 იანვრის N2/01 ბრძანებით ცვილებებით დამტკიცებულია პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმით ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროფესიული სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების დროს აკადემიის ბრძანებაში ზუსტად გაიწერება ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები/სამუშაო გამოცდილება და სხვა, რასაც ითხოვს შესაბამისი პროფესიის სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი.
ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, შესაბამისი კვალიფიკაცია უდასტურდებოდა პროგრამის თითქმის ყველა განმახორციელებელს. კითხვები გაჩნდა აკადემიის საჩხერის ფილიალში განსახორციელებელი საოფისე საქმისა და აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ორი განმახორციელებლის შემთხვევაში. კერძოდ:

- საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება“ განხორციელება ევალებოდა პირს, რომელსაც აქვს სამთო და გეოინჟინერის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და 2015 წლიდან დღემდე ბუღალტრად მუშაობის გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ მას არ უდასტურდებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)

პირდაპირი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სხვა პირით ჩანაცვლებულიყო მოდულის განხორციელება. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ცვლილება შეიტანა ხელშეკრულებებში და მოდულის განხორციელება დაევალა პირს, რომელსაც აქვს წლების განმავლობაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელად და საოფისე საქმის მწარმოებლად მუშაობის გამოცდილება (დანართი 5; დანართი 6).

- გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის „მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში“ განმახორციელებელ პირს აქვს საბავშვო ბაგა-ბაღში მეორე ცვლის აღმზრდელად მუშაობის გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ მეორე ცვლის აღმზრდელები არ არიან ჩართულნი ყოველდღიურ მუსიკის აქტივობებში, გაიცა რეკომენდაცია, მოდულის განმახორციელებელი ჩანაცვლებულიყო სხვა პირით. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ცვლილება ხელშეკრულებებში და მოდულის განხორციელება დაევალა სხვა განმახორციელებელს, რომელიც მუშაობს პირველი ცვლის აღმზრდელად საბავშვო ბაღში და ასევე, ფლობს სკოლამდელ დაწესებულებებში აღმზრდელის კვალიფილაციას (დანართი 7; დანართი 8).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საინფორმაციო მართვის სისტემით (evet.emis.ge) - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 82 პროფესიული სტუდენტი, ხოლო კოლეჯს ჰყავს 103 აქტიური სტატუსის მქონე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და 24 ადმინისტრაციის თანამშრომელი. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

- საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თბილისის ფილიალში განხორციელდება 9 განმახორციელებლის მიერ, ხოლო ქალაქ საჩხერის ფილიალში 10 განმახორციელებლის მიერ;
- აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ საჩხერეში განხორციელდება 9 განმახორციელებლის მიერ;
- ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ქალაქ თბილისში 9 განმახორციელებლის მიერ;
- მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ქალაქ თბილისში 9 განმახორციელებლის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

- საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ქალაქ თბილისში 6 განმახორციელებლის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში რექტორთან გასაუბრების შედეგების ან/და რექტორის გადაწყვეტილებით. რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოცხადდეს კონკურსი. პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, განათავსებს ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას (ვებგვერდი ან/და სხვა) და ბრძანებაში განსაზღვრავს:
ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტების ნუსხას;
ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადასა და ადგილს;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

(ქალაქი, წელი)

საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსი კომისიის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან, ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. კოლეჯის რექტორი გასაუბრების შედეგების ან/და კონკურსის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას შერჩეული პროფესიული მასწავლებლის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით. რექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ფორმდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები.

დაწესებულებას რექტორის გადაწყვეტილებით აყვანილი ჰყავს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი და მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. მომსახურების ხელშეკრულებებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაწერილია ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების განხორციელების პირობები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანგარიშსწორების პირობები და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / წავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა თვალტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საოფისე საქმე	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28	0	40
							ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10	0	30
2	აღმზრდელი	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	ქალაქი საჩხერე, ქუჩა ივანე გომართელი, N10	0	30
3	ელექტროობა	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	ქალაქი თბილისი, ხეხილსანერგე მეურნეობა (წერონისის ქ. N208); ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28	0	30
4	მშენებლობის მწარმოებელი	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 0732	71	86	ქართული	ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28	0	30
5	საბაჟო საქმე	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში 1032	93	123	ქართული	ქალაქი თბილისი, ქუჩა დადიანი, N 28	0	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. სასაქანლო ზედნადებები
დანართი 3. რექტორის ბრძანება N2/136
დანართი 4. რექტორის ბრძანება N2/140
დანართი 5. პროგრამის განმახორციელებელთან ხელშეკრულება
დანართი 6. პროგრამის განმახორციელებელთან ხელშეკრულება
დანართი 7. პროგრამის განმახორციელებელთან ხელშეკრულება
დანართი 8. პროგრამის განმახორციელებელთან ხელშეკრულება

06.09.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ქალაქი, წელი)